ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N17

ქ.თბილისი 13 აპრილი, 2018 წელი

16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

რამინა ბერაძე	ლევან არველაძე
ოთარ გრიგოლია	გიორგი ბირბიჩაძე
ბექა დავითულიანი	გულია გოცირიძე
ლევან დარახველიძე	ლევან დავითაშვილი
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	მარინა დათუკიშვილი
გოჩა თევდორაძე	გიორგი დოხტურიშვილი
თევდორე ისაკაძე	ირაკლი ზარქუა
ანა ლაშხი	ფრიდონ ინჯია
ლილე ლიპარტელიანი	ერეკლე კუხიანიძე
გიორგი მუსხელიშვილი	ნინო ლაცაბიძე
თინათინ ნიბლოშვილი	ქეთევან მამულაშვილი
ელენე ოზაშვილი	ირაკლი ნადირაძე
დათო ჟღენტი	შალვა ოგბაიძე
რევაზ სოხაძე	ლევან ჟორჟოლიანი
დავით უთმელიძე	დათო რურუა
დავით ჭელიძე	თამარ ტალიაშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე	ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე	ლევან ჯაფარიძე
ლევან ხაბეიშვილი	ჯაბა ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე	

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გიგა სოფრომაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ მათიაშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის" ანგარიშზე, რომელშიც ქვეყანაში არსებულ სხვა პრობლემებთან ერთად, ნახსენები იყო საკრებულოს მიერ რამდენიმე თვის წინ, ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა პუშკინის ქუჩაზე, „ცეკავშირის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გასხვისებას. საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის მიხედვით, თვითმმართველობა დღეს წარმოადგენს ყველაზე დაკნინებულ ინსტიტუციას, სადაც არის ნეპოტიზმი, კორუფცია და პროფესიონალიზმის ნაკლებობა. მარინა დათუკიშვილის თქმით, „ქართული ოცნების" პოლიტიკურმა გუნდმა განახორციელა შეტევა „ფრიდომ ჰაუსის" წინააღმდეგ, რაც დასავლური სამყაროს წინააღმდეგ შეტევის განხორციელებას ნიშნავს. აღნიშნა, რომ საქართველოში ჩამოდის ევროპის საბჭოს თვითმმართველობის კონგრესის წარმომადგენლობა, რომელთან შეხვედრასაც გეგმავს ოპოზიცია და აპირებს ისაუბროს თვითმმართველობაში დღეს არსებულ პრობლემებზე და დაინტერესდა, თუ ევროპის საბჭოს თვითმმართველობის კონგრესი აღიარებს, რომ ამ მიმართულებით საქართველოში არის პრობლემები, მასაც გაემიჯნება საკრებულო თუ შეეცდება დაიცვას საკრებულოს ღირსება და ეცდება აღმოფხვრას მერიის თანამდებობის პირების მიერ კანონდარღვევა, როდესაც ისინი, მოწვევის მიუხედავად, არ ცხადდებიან ოპოზიციური ფრაქციის სხდომაზე.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" გუნდმა „ფრიდომ ჰაუსის" დასკვნაზე გააკეთა შესაბამისი განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციებმა, რომლებმაც ინფორმაცია მიაწოდეს „ფრიდომ ჰაუსს" არ უზრუველყვეს კომპეტენტური და რეალობაზე აგებული ინფორმაციის მიწოდება, რადგან მისი დიდი ნაწილი სიმართლეს არ შეესაბამება.

ირაკლი ზარქუას თქმით, ამ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღწერა 2012 წლამდე არსებული სიტუაცია და არა დღეს არსებული რეალობა - „ადამიანის უფლებების დარღვევა, ძალადობა და სიკვდილიანობა ციხეებში, ბიზნესის რეკეტი..." და დაინტერესდა, რამდენად სამართლიანი და ადეკვატურია დასკვნა. რაც შეეხება „ცეკავშირის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებას, განაცხადა, რომ ეს ტერიტორია, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, შერჩეული იყო, როგორც ერთ-ერთი ადგილი მიწისქვეშა პარკინგის მოსაწყობად, ხოლო მიწის ზევით არის სატრანსპორტო ზონა და საზოგადოებრივი სივრცე.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ დღეს თბილისში არსებული სერიოზული საგზაო ინფრასტრუქტურული პრობლემების მიუხედავად, საბიუჯეტო ცვლილებით წარმოდგენილია ამ მუხლისთვის, სატენდერო ეკონომიებით გამოწვეული, სამ მილიონ ლარზე მეტის დაკლება, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა ბიუროკრატიულ ხარჯებზე და დაინტერესდა, რატომ არ ხდება თანხის დატოვება ამავე მიმართულებით და არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე საუბარი არ იქნებოდა „ფრიდომ ჰაუსის" ანგარიშზე, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა და პარლამენტი აკეთებს სწორ ანალიზს და განცხადებებს. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ 2012 წელს საქართველოს მოსახლეობამ უარი თქვა მათ მმართველობაზე და „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ აღადგინა სამართლიანობა დემოკრატიული გზით და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „გთხოვთ, თქვენი აჟიტირებით, მოსახლეობა ნუ შეგყავთ შეცდომაში".

ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა თბილისში მიმდინარე მშენებლობებზე და განაცხადა, რომ კახა კალაძე და მისი ბიზნეს-პარტნიორი ივლიანე წულაია, რომლის საკუთრებაშია კომპანია „არქი ჯგუფი“ ახორციელებენ რამდენიმე უკანონო მშენებლობას, მათ შორი ჩაჩავას ქ.N4 და თავდადებული-პეტრიწის ქუჩების კვეთაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ „არქი ჯგუფს“, არ აქვს მშენებლობის ნებართვა, გათხრილია საძირკველი, ჩატარებულია სამუშაოები და კომპანია, იქიდან გამომდინარე, რომ დარწმუნებულია მიიღებს მშენებლობის ნებართვას, რომელსაც დაასრულებს 2019 წელს, „ადამიანებზე ყიდის ჰაერს“. ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, დაჯარიმებულია თუ არა კომპანია უკანონო მშენებლობისთვის, არსებობს თუ არა ოფიციალური დოკუმენტი, რომ ამ ტერიტორიაზე, თუნდაც დროებით, შეჩერებულია მშენებლობა და თუ არსებობს, საკრებულოს უმრავლესობა იღებს თუ არა პასუხისმგებლობას, რომ ზემოაღნიშნულ მისამართებზე არ გაიცემა მშენებლობის ნებართვა. ასევე, თებერვლის თვეში, მინდელის ქუჩაზე, გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმებები, მათ შორის, ერთ-ერთი არის „არქი ჯგუფის“ სასარგებლოდ და ეს ხდება მაშინ, როდესაც ქალაქის მერი საუბრობს, რომ არ გაიზრდება სამშენებლო კოეფიციენტები და ამ მიმართულებით დაწესდება რეგულაციები. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, ისაუბრა თამარაშვილის N13-ში მიმდინარე მშენებლობაზე, სადაც 2013 წელს, მერია წერდა, რომ მშენებლობის განხორციელება არ შეიძლებოდა საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში შემავალ, ქალაქისთვის მნიშვნელოვან რეკრეციულ სივრცეში, თუმცა 2017 წელს, ისევ წულაიას სასარგებლოდ, შენდება 29 სართულიანი კორპუსი და იჩეხება ათობით ხე.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლევან ხაბეიშვილს, რომ კარგი იქნება, თუ საზოგადოებას არ შეიყვანს შეცდომაში და დააკონკრეტებს თუ რა რეკომენდაციები იყო 2013 წელს გაცემული თამარაშვილის N13-ში მშენებლობასთან დაკავშირებით და რა - შემდგომ წლებში.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ „სამწუხაროდ, კვლავ არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე“, რადგან როდესაც საუბრობ ამა თუ იმ საკითხზე, უმჯობესია ჯერ ბოლომდე შეისწავლო. ისაუბრა ლევან ხაბეიშვილის მიერ ნახსენებ მშენებლობეზე და განმარტა, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ, პირველი იანვრიდან დღემდე, შეჩერებულია დაახლოებით ასამდე მშენებლოს პროცესი, რომელშიც შედის „არქი ჯგუფის“ საკუთრება პეტრიწის ქუჩაზე, სადაც მას უკანონოდ ნაწარმოები აქვს ქვაბულის სამუშაოები. კომპანიას, აღნიშნულის გამოსასწორებლად, მიცემული აქვს 30 დღიანი ვადა და თუ არ გამოასწორებს, ზედამხედველობის სამსახური იმოქმედებს ისევე, როგორც მოქმედებდა დანარჩენ შემთხვევებში. რევაზ სოხაძის თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სახელებს და გვარებს, დღეს, თბილისში, ნებისმიერი კომპანია არის თანაბარ პირობებში. განმარტა, რომ როდესაც დამტკიცდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, ზონალურ შეთანხმებაზე გამოიცემა მერის აქტი. მინდელის ქუჩაზე, 2016 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლითაც განისაზღვრა შესაბამისი კოეფიციენტები და მერი, კანონმდებლობით, იყო ვალდებული გამოეცა აღნიშნული აქტი. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს ექნებათ სერიოზული არგუმენტები, რომ ხდება უკანონობა, საკრებულოს უმრავლესობის წევრები იქნებიან პირველები, ვინც მათ გვერდში დადგება, რადგან მოსახლეობა დაცული უნდა იყოს უკანონოდ მშენებარე კორპუსებში ბინების შეძენისგან.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობას „დაგეთანხმებოდით, რომ ვხედავდე სწორ პროცესებს და ქალაქის განაშენიანების რეგულირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს“, თუმცა დღეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილი საკითხები არის იმის დასტური, რომ მერიაში იზრდება მაკონტროლებელი ბიუროკრატია და მართვის და დაჯარიმების სირთულეები. ეს კი ქმნის ნიადაგს, რომ „დამჯარიმებლების დიდმა არმიამ“ მშენებლებთან აწარმოოს არალეგალური გარიგებები, რაც ქმნის კორუფციის მაღალ საფრთხეს. ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ ბიზნესი იქნება არა ხელშეწყობილი, არამედ შევიწროვებული. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის ბიუჯეტი დიდწილად იზრდება მშენებლობებიდან შემოსული თანხით და თუ ეს საკითხი არ მოწესრიგდა, შევალთ ქაოტურ

წრეში, სადაც მთავარი წარმმართველი იქნება კორუფცია და ვერ მოხერხდება ქალაქის დაცვა ქაოტური განაშენიანებისგან.

ვახტანგ შაქარიშვილმა „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშს უწოდა „მეორე საქართველოს შექმნის კიდევ ერთი მცდელობა“ და განაცხადა, რომ „არ არსებობს მეორე საქართველო“. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე და მედიის თავისუფლებაზე საუბარი პარადოქსულია. პერსონიფიცირება, სახელების და გვარების ხაზგასმა ამტკიცებს, რომ ეს არის მიკერძოებული და ანგაჟირებული ანგარიში, რაც ძალიან სამწუხაროა და ყოველთვის, ყველა კვლევაზე, დასკვნაზე და შეფასებაზე ობიექტური ჭეშმარიტება არის საზოგადოების განწყობა, განცდა და არჩევანი. ვახტანგ შაქარიშვილმა, დათო ჟღენტის სიტყვებზე, რომ ქალაქში სერიოზული საგზაო ინფრასტრუქტურული პრობლემებია აღნიშნა, რომ მისთვის ეს განცხადება მიუღებელი და გაუგებარია, რადგან თავად წარმოადგენს საბურთალოს რაიონის მე-6 ოლქს, სადაც, სამ თვეში, სწორედ ამ მიმართულებით დახარჯულია 400000 ლარამდე და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს შიდა ეზოების, სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა.

გიორგი ბირბიჩაძემ უპასუხა დათო ჟღენტის მიერ დასმულ კითხვას, თუ რატომ არ რჩება სატენდერო ეკონომიებით გამოთავისუფლებული თანხა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით და აღნიშნა, რომ ეს თანხა მოხმარდება კამერების შეძენას, რომლებიც დამონტაჟდება სხვადასხვა სკვერებსა და პარკებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ვანდალიზმის შემთხვევები, რაც დღეს ძალიან ხშირია.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაიბარა მიწასთან გასწორებული ქვეყანა და არა სახელმწიფო... შეიძლება ძალიან ბევრი შეცდომების ხარჯზე, მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს - სახელმწიფო“, რასაც, მისი თქმით, სამწუხაროდ, ვერ ინარჩუნებს დღევანდელი ხელისუფლება. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა მშენებლობებზე და განაცხადა, რომ პეტრიწის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგია კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ იქ არსებული წყლის ცენტრალური მილის გამო და საინტერესოა, როგორ აპირებს „არქი ჯგუფი“ მშენებლობის შემდგომ განვითარებას და თუ ვერ მიიღებს მშენებლობის ნებართვას, რას ყიდის, ჰაერს? ასევე, დღევანდელ სხდომაზე განსახილველად გამოტანილია კოსტავას ქ.N33ა-ში ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების საკითხი, სადაც დაინტერესებული პირი არის ვინმე ჭოლოკავა, რომელიც იყო „ცრუ მოწმე კაბელების საქმეზე“ და განაცხადა, ნაცვლად იმისა, რომ საკრებულო დაინტერესდეს, თუ როგორ აქვს ამ პიროვნებას კერძო საკუთრებაში ტროტუარი, რომელიც სატრანსპორტო ზონაა, დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ სამწუხაროდ, საკითხის პრობლემურობას აყენებს არა შინაარსიდან, არამედ გვარებიდან გამომდინარე.

რევაზ სოხაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ კომისია, თითოეულ საკითხს იხილავს არსობრივად, თუ რატომ არის ზონის ცვლილება მიზანშეწონილი და საერთოდ არ კითხულობს დაინტერესებული პირის სახელს და გვარს. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე განმარტა, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე, სადაც უკვე მიმდინარეობს მშენებლობა, მოხდა რუკის კორექტირება, ხოლო ეს უკანასკნელი აუცილებელი გახდა იქიდან გამომდინარე, რომ 2009 წელს დაშვებული იყო შეცდომა. რაც შეეხება პეტრიწის ქუჩას, რომ თითქოს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მიმდინარე მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგია, განაცხადა, რომ ამ კონკრეტული ობიექტის მშენებლობაზე არსებობს კომპანიის თანხმობა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების გაღიზიანება „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშთან დაკავშირებით, რადგან ეს არის სწორი, სამართლიანი და ადეკვატური დასკვნა, რომელიც ეხებოდა თუნდაც „პუშკინის სკვერის ერთ ლარად გადაცემას ბიძინა ივანიშვილისთვის და აუცილებლად დადგება დრო, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობდა, ამაზე აგებს

პასუხს“. საუბარია ორ საქართველოზე, თითქოს ერთ საქართველოა ის, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა აიძულეს „ფრიდომ ჰაუსი“ დაეწერა დასკვა და მეორე საქართველოა ის, სადაც ბიძინა ივანიშვილმა ას ქარხანაზე მეტი ააშენა, ბენზინი ერთი ლარით იაფია, პენსიები გაზრდილია, იაფი ფული დარიგებულია, სამ თეთრად აქვს ხალხს დენი და გაზი და ყველაფერი, რასაც „ქართული ოცნება“ დაპირდა ხალხს, შესრულებულია. ირაკლი ნადირაძემ ასევე, განაცხადა, რომ სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დასახელდა აბსურდული მიზეზები და დაინტერესდა, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები თუ უკმაყოფილოები იყვნენ მისი მუშაობით, რატომ არასდროს დაუფიქსირებიათ მოსაზრებები, ხოლო თუ კმაყოფილები იყვნენ, ქალაქის მერმა ისე გაათავისუფლა ეს ადამიანი თანამდებობიდან რომ არ გაითვალისწინა მათი მოსაზრებები? და თუ ასეა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ „ქართულ ოცნებაში“, მათ შორის საკრებულოშიც არის დაპირისპირება და თბილისში თავიდან დაიწყო გავლენების, ინტერესების და თანამდებობების გადანაწილება.

ჯაბა ჯიმკარიანმა განაცხადა, რომ დარბაზში ისმის ცრუ ბრალდებები ადამიანებისგან, რომელბიც იყვნენ „ბოროტების შემოქმედნი“ და საინტერესოა, რომელმა მათგანმა გააპროტესტა წლების განმავლობაში მიმდინარე ძალადობა, რაზედაც წერდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი მმართველობის პირობებში მივიღეთ სახელმწიფო, რომელიც ფეხქვეშ თელავდა ადამიანის აბსოლუტურად ყველა უფლებას. როდესაც მათი მხრიდან ისმის ბრალდებები კალაძეზე და წულაიაზე, საინტერესოა ვინ გასცა პირველი სკოლის უკან 18 სართულიანი შენობის მშენებლობის უფლება, თაბუკაშვილის ქუჩაზე არსებული კორპუსიდან ვინ გამოასახლა ადამიანები, ვინ გასცა სპორტის სასახლის უკან დანაშაულებრივი ქალაქის მშენებლობის ნებართვა. საუბრის ბოლოს მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „ძალადობრივი სახელმწიფო, რომელიც თქვენგან ჩავიბარეთ, დღეს დემოკრატიის გზაზეა“.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ საუბარია საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელზეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა ღირსეული განცხადება, თუმცა სურს, რომ ოპოზიციონერ კოლეგებს შეახსენოს მათი მმართველობის პერიოდში, თბილისის მერის ძმისთვის, ყველანაირი საინვესტიციო პირობის გარეშე, გადაცემული არაერთი კვადრატული მიწის ნაკვეთი და ლევან ქარდავასთვის, კოჯრის ტერიტორიაზე, ასევე, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე, გადაცემული 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. „ცეკავშირის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაცემული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ გვინდა განვავითაროთ ქალაქი, რისთვისაც კონკრეტულ კომპანიებს გადაეცემათ ესა თუ ის ტერიტორია გარკვეული საინვესტიციო პირობებით.

ბექა დავითულიანის თქმით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშის მიხედვით, საქართველოს იმაზე უარესი საერთო შემაჯამებელი ქულა არ აქვს, ვიდრე ჰქონდა 2012 წელს ან მანამდე. თავად კვლევის ხარისხზე და ტენდენციურობაზე მეტყველებს ანგარიშში არსებული ჩანაწერი: „ზოგადად, საქართველოში პრობლემა არ აქვს მშვიდობიან მანიფესტაციებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბათუმის მანიფესტაციის დროს იყო არაპროპორციული ძალა გამოყენებული“. შესაბამისად, ფაქტია რომ ანგარიში ტენდენციურია, რაც შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით. ბექა დავითულიანმა, ქალაქში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ არც ერთ დეველოპერს არ აქვს პრივილეგია, განაშენიანების რეგულირების გეგმა განიხილება არა დაინტერესებული კომპანიის სახელის, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორი და მოზანშეწონილია მისი დამტკიცება.

გიორგი ტყემალაძემ კომენტარი გააკეთა რამდენიმე საკითხზე და განაცხადა, რომ არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს დღეს თვითმმართველობა და მათ შორის, საკრებულო შესუსტებულია, რადგან მისი აზრით, თვითმმართველობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე ფუნქციური კუთხით, არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი, როგორიც არის დღეს და ამას ადასტურებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და რამდენიმე დღის წინ ევროსაბჭოში

მიღებული შეფასება. რაც შეეხება „ცეკავშირის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გადაცემას, ამ შემთხვევაში, არ მომხდარა ქონების არც ჩუქება და არც ერთ ლარად გადაცემა, მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდა ერთი მილიონი ლარის ინვესტიიციის ვალდებულებით, სადაც მოეწყობა მიწისქვეშა საზოგადოებრივი პარკინგი, ხოლო თავად ტერიტორიაზე ვრცელდება ისეთი ფუნქციური ზონა, რომ რაიმე, სხვა სახის მშენებლობა გამორიცხულია. ამასთან დაკავშირებით, ირაკლი ნადირაძის სიტყვებზე, რომ პასუხს აგებს ყველა ის ადამიანი, რომელსაც მიღებული აქვს მონაწილეობა ამ საკითხის გადაწყვეტაში, განაცხადა, რომ „მესმის, ძალიან გეჩქარებათ პასუხი გვაგებინოთ ჩვენ იმისთვის, რომ ეს პერიოდი ვიყავით ხელისუფლებაში, მაგრამ დამერწმუნეთ, ჩვენ მოსახლეობას და ამომრჩეველს აბსოლუტურად სხვა განზრახვა და მოსაზრებები აქვს“. სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ათვისების მიმართულებით იყო გარკვეული ჩამორჩენა, თუმცა კვარტალური შედეგების გაანალიზების და მიზეზების შეფასების შემდეგ, გადაწყდა, რომ უკეთესი შედეგის მისაღწევად, უმჯობესია სამუშაოების გაორმაგება და ერთობლივად, გამგებელთან ერთად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიღებული იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ბაგრატიონი

4. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ბაგრატიონი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ";

მომხსენებელი: გიგა სოფრომაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

8. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ., კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.19.39.002.091; N01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია ძირითადად სატენდერო ეკონომიებით და ეს თანხა გადანაწილებულია სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: ქალაქგაფომებითი ღონისძიებების პროგრამა, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში, როგორც შემოსავლის, ასევე გასავლის ნაწილში ასახული იყო პარკირებიდან შემოსავალი. გასაგებია, რომ ამ ეტაპზე რთულია პროგნოზის

გაკეთება, თუ რა შემოსავალი იქნება, თუმცა გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებული ოთხი მილიონი ლარი, რომელიც კომპანიასთან „სი-ტი პარკი“ გაფორმებული ხელშეკრულების გამო, ხმარდებოდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დასაბრუნებელ თანხას, ამ ეტაპზეც უცვლელად არის წარმოდგენილი. ირაკლი ნადირაძის თქმით, მერიას ეს თანხა უკვე გამოყენებული აქვს იმ ინვენტარის შესაძენად, რომელიც საჭიროა თბილისის პარკინგისთვის მაშინ, როდესაც ბიუჯეტში მითითებულია, რომ დაუშვებელია ნებისმიერი იმ ღონისძიების დაფინანსება, რომელიც გაწერილი არ არის ბიუჯეტით. აქედან გამომდინარე დაინტერესდა, ტენდერის გარეშე ოთხი მილიონი ლარის დახარჯვა პარკირებისთვის სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად, ნიშნავს თუ არა კანონდარღვევას და ბიუჯეტთან შეუსაბამო თანხების ხარჯვას. ასევე, 700000 ლარით იზრდება იმ მუხლის დაფინანსება, საიდანაც ძირითადად ფინანსდება რეკლამები და საინტერესოა, დეტალურად არის თუ არა გაწერილი ამ თანხის ხარჯვა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს მერს მიმართა წერილით, რომ დაფინანსდეს 9 აპრილს დაზარალებულების ჯანმრთელობის დაცვა, მიეცეთ სოციალური დახმარება და მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა, შეღავათიანი ტარიფის ნაცვლად, გახდეს უფასო და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია ამის გათვალისწინება იმ ფონზე, როდესაც მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობით სარგებლობენ ე.წ. პოლიტრეპრესირებულები.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც 2015 წელს ითვალისწინებდა მრავალსართულიანი პარკინგის მშენებლობას და დაინტერესდა, ხომ არ იქნება სწორი და ადეკვატური, რომ მანამ, სანამ გამოჩნდება კონკრეტული ინვესტორი, რომელიც მოაწყობს საპარკინგე ადგილებს, ბიუჯეტში დაბრუნდეს ეს მუხლი, რათა დედაქალაქის მერიამ ხელი შეუწყოს ახალი პარკინგების მშენებლობას.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ პარკირებისთვის სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად ბიუჯეტიდან თანხის გადარიცხვა არ მომხდარა, ტრანსპორტის კომპანია არის შპს, რომელსაც აქვს საკუთარი სახსრები და შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი შესყიდვა. რაც შეეხება ამ მიმართულებით ბიუჯეტში არსებულ თანხას, პროცენტულად თითქმის იგივე დარჩება, როგორც შემოსავლების, ასევე გასავლის ნაწილში და ის მთლიანად მოხმარდება საპარკინგე ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას, ხოლო მრავალსართულიანი და მიწისქვეშა პარკინგების მოწყობისთვის საჭირო თანხა ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული იქიდან გამომდინარე, რომ პარკირებიდან შემოსავალი, კომპანია „სი-ტი პარკის“ ნაცვლად, წავა სატრანსპორტო კომპანიაში, რომელიც განახორციელებს საპარკინგე სისტემის გამართვისთვის საჭირო ღონისძიებებს. რაც შეეხება ზემოხსენებულ 700000 ლარს, ეს თანხა გათვალისწინებულია მოსახლეობისთვის სხვადასხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისკენ მიმართული რამდენიმე კამპანიის განსახორციელებლად. 9 აპრილს დაზარალებულებისთვის შეღავათებზე განმარტა, რომ წერილი მერიაში ორიოდე დღის წინ შევიდა და დღეს წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებში მათი გათვალისწინება ვერ მოესწრებოდა, თუმცა ამ საკითხებზე იქნება მსჯელობა და ამ კუთხით ბიუჯეტში ცვლილებების ასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ თუ პარკირებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა არ მომხდარა ბიუჯეტიდან ძალიან კარგია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ოთხი მილიონი ლარი არის ის თანხა, რომელიც უბრუნდებოდა კომპანია „სი-ტი პარკს“, ხოლო ეხლა ეს გამოთავისუფლებული თანხა მთლიანად რჩება სატრანსპორტო კომპანიას და შესაძლებელი იქნება მისი მიმართვა მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობისთვის.

გაიოზ თალაკვაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პარკირებისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად თანხა ბიუჯეტიდან ვერ გადაირიცხებოდა, რადგან ამისთვის საჭირო

შინაარსობრივი ცვლილება არ განხორციელებულა და ეს თანხა მთლიანად მიმართული იქნება საპარკინგე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისკენ.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ პარკირების კუთხით დღემდე და დღეს არსებულ რეალობას შორის განსხვავება არის ის, რომ აქამდე „მთელი თანხა მიდიოდა შპს-ს ჯიბეში", ხოლო ეხლა მიმართული იქნება მიზნობრივად - საპარკინგე ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილული და მხარდაჭერილი იქნა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ თანხის ნაწილი მიემართება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგებისთვის სააღდგომო პრემიების ჩარიცხვაზე, ნაწილი ემატება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ხოლო ზემოხსენებული 700000 ლარი მოხმარდება საზოგადოებრივი ჩართულობის ამაღლებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და დეტალურად, ციფრების მითითებით ისაუბრა 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებაზე, გადასახდელების და გრანტების შესრულების მაჩვენებლებზე, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე და არაფინანსურ აქტივებზე. ასევე, დეტალურად ჩამოთვალა ბიუჯეტის შესრულების და ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლები ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დროს გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული რესურსი, მათ შორის არჩევნების პერიოდში გამგეობის თანამდებობის პირების ოჯახის წევრებს, კოორდინატორებს და საარჩევნო კომისიის წევრებს, ერთჯერადი დახმარების სახით, ჩაერიცხათ სხვადასხვა ოდენობის თანხა და ცუდია, რომ ეს საკრებულოს მაშინდელ სარევიზიო კომისიას უყურადღებოდ დარჩა. 2017 წლის ბიუჯეტზე საუბრისას, ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ლევან გაჩეჩილაძესთან დაკავშირებული ფაქტი და დააფიქსირა მოსაზრება, რომ მერის სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული რეგულაციები, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხის გადარიცხვა ისე აღარ მოხდეს, „ვისაც როგორ მოუნდება". აღსანიშნავია ასევე, რომ ერთ-ერთი საბავშვო ბაღის დირექტორს ერთ-ერთ თანამდებობაზე გაფორმებული ჰყავდა გარდაცვლილი ადამიანი, რომელსაც კონკრეტულ ხელფასსაც ურიცხავდა. ლევან ხაბეიშვილის თქმით, 2017 წელს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და საბიუჯეტო სახსრების ფლანგვის მიმართულებით იყო სერიოზული პრობლემა და ისურვა, რომ 2018 წელს იგივე არ გაგრძელდეს.

გაიოზ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის შესრულებასთან არავითარი კავშირი არ აქვს იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი საბავშვო ბაღის დირექტორს ერთ-ერთ თანამდებობაზე გაფორმებული ჰყავდა გარდაცვლილი ადამიანი. რაც შეეხება სარეზერვო ფონდს, მისი ხარჯვა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო თუ ვინმეს აქვს რაიმე წინადადებები ამასთან დაკავშირებით, მსჯელობა შესაძლებელია.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მტკიცდება საკრებულოს განკარგულებით, რომელიც მომზადებულია იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული უნდა დამტკიცდეს პირველ მაისამდე, განკარგულების პროექტი, კომისიის დასკვნასთან ერთად, წარმოდგენილია დანართის სახით.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების დროს შესაძლებელია გაეცნო შესრულების ყველა მნიშვნელოვან პარამეტრს და ინდიკატორს, თუმცა სარეზერვო ფონდიდან გადარიცხვების ნახვა შესაძლებელია მხოლოდ შესრულების დროს და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ოპოზიციას ამ მიმართულებით აქვს კითხვები და პრეტენზიები. მისი თქმით, თითქმის ყველა ქვეყნის ყველა ქალაქში მიღებული პრაქტიკაა, სარეზერვო ფონდი მოხმარდეს მხოლოდ გადაუდებელ აუცილებლობას, რომელიც უკავშირდება სტიქიურ უბედურებებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხმარდეს ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებიც ისედაც გაწერილია ბიუჯეტით. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ თუ გვინდა წავიდეთ გამჭვირვალობის და თანხების რაციონალურად ხარჯვის გზით, მაშინ ბიუჯეტის შესაბამის მუხლში გაიწეროს, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების დახარჯვა მოხდება მხოლოდ კონკრეტული სტიქიური უბედურების შემთხვევებში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, ეს თანხა ავტომატურად გადავა შემდეგი წლის ბიუჯეტში.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ასეთ საკითხებზე საუბრისას, მიზანშეწონილი არ არის კონკრეტული სახელების და გვარების დასახელება, რადგან შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანს დასჭირდეს თანხა სამედიცინო კუთხით. ხოლო თუ ოპოზიცია ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით რამე შესაცვლელია, შეიმუშაონ საქმიანი წინადადებები, რომლებზეც ერთობლივად იმსჯელებენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა და ისაუბრა მის მიერ სხდომაზე წარსადგენ ორივე საკითხზე. აღნიშნა, რომ დადგენილებებში ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაიზარდა საჯარიმო სანქციები და გართულდა სამსახურის მიერ შესასრულებელი მომსახურების განხორცილება, როგორც ზედამხედველობის თვალსაზრისით, ასევე ტექნიკური მიმართულებით. ამ ფაქტორებმა გამოიწვია მომსახურებაზე ფასების გაზრდა, კერძოდ: ერთ შემთხვევაში ფასები გაორმაგდა, ხოლო მეორე შემთხვევაში - გასამმაგდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N3-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა გიგა სოფრომაძემ და განმარტა, რომ საბჭოს მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართულებით არსებული პროგრამების და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის და მერიისთვის კონსულტაციის გაწევა. მუშაობის პროცესმა აჩვენა, რომ მოქმედი დებულება საჭიროებს დახვეწას, შესაბამისად, მოხდა მისი ოპტიმიზაცია და საკრებულოს მიერ საბჭოს დებულების გაუქმების შემდეგ, საბჭოს დაამტკიცებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიმართულია იმისკენ, რომ აღმოიფხვრას უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეების კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემა, რასაც მოჰყვება არაუფლებამოსილი პირის მიერ ბარათით სარგებლობა, რაც იწვევს დედაქალაქის ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯების გაცემას. ასეთი შემთხვევების არსებობისას პროექტი ითვალისწინებს ბარათის კანონიერი მფლობელისთვის 6 თვის განმავლობაში უფასო ან

შეღავათიანი მგზავრობის ბარათით სარგებლობის უფლების ჩამორთმევას ანუ ბარათის დაბლოკვას. ბარათის განბლოკვა და სამგზავრო ფუნქციის აღდგენა განხორციელდება აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ავტომატურად, უფასოდ. პროექტი ასევე, ითვალისწინებს ბარათის 6 თვის გასვლამდე განბლოკვის შესაძლებლობას, კერძოდ, ბარათი ვადამდე განიბლოკება შესაბამისი ჯარიმის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაუქმების შემთხვევაში.

ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, თუ როგორი იქნება კონტროლის მექანიზმი, მოხდება თუ არა საზოგადოების წინასწარი ინფორმირება აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით და როგორ მოხდება ზოგიერთი ადამიანისთვის ე.წ. კომერციულ საქმიანობად ქცეული უფასო მგზავრობის აღმოფხვრა მეტროს შესასვლელებში.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ სერგო ბირკაძე უკვე მესამედ, მიწვევის მიუხედავად, არ მივიდა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სხდომაზე, იმ მიზეზით, რომ „არ ეცალა", რაც საკრებულოს რეგლამენტის უხეში დარღვევაა. ასევე, არაადეკვატურია პასუხები მათ მიერ გაგზავნილ წერილებზე, აღნიშნა, რომ „არ შეიძლება მუდმივად დაპირისპირების რეჟიმში ყოფნა" და მიმართა სერგო ბირკაძეს უზრუნველყოს, რომ მომავალში წერილებზე პასუხი იყოს შესაბამისი და მიწვევის შემთხვევაში, მივიდეს ფრაქციის სხდომაზე. ასევე, შეახსენა, რომ სატრანსპორტო კომპანიიდან თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად დაპირებისა, ჯერ კიდევ არ მიუღია.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ ერთ ლარად გასხვისებული ქონების შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციაზე, ქონების მართვის სააგენტოსგან პასუხი იყო, რომ საკრებულოს აქვს ეს ინფორმაცია. განაცხადა „საკრებულოს რა აქვს ჩვენც ვიცით, მაგრამ როცა ვითხოვთ ინფორმაციას ქონების მართვის სააგენტოსგან, უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია" და მიმართა სერგო ბირკაძეს, უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება, კანონით დადგენილ ვადებში.

სერგო ბირკაძემ ირაკლი ნადირაძის კითხვაზე განმარტა, რომ ამ მიმართულებით დღესაც არის კონტროლი, კერძოდ, 5 ლარიანი ჯარიმა, რაც, რა თქმა უნდა, არაადეკვატურია, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებები მაქსიმალურად პრევენციულს გახდის აღნიშნულს და სატრანსპორტო კომპანიის უფლებამისილი პირების მიერ, განხორციელებული კონტროლის გამკაცრებით, შედეგი იქნება უფრო ეფექტური. რაც შეეხება ე.წ. კომერციულ საქმიანობად ქცეულ უფასო მგზავრობას, აღნიშნა, რომ ეს ფაქტი თავისთავად არის სამართალდარღვევა, რაზეც იქნება შესაბამისი რეაგირება. საზოგადოების ინფორმირებაზე, განმარტა, რომ ინფორმაცია გავრცელდება არა მხოლოდ მერიის შესაბამისი სამსახურის, არამედ მედიის მხრიდანაც. რაც შეეხება ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სხომაზე არ მისვლას და მათ წერილებზე შეუსაბამო პასუხებს, აღნიშნა, რომ არც თავად და არც მისი კოლეგები არ გაურბიან კითხვებზე პასუხების გაცემას, თუმცა რიგ შემთხვევებში ხდება ისე, რომ წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების გამო, ვერ ხერხდება დანიშნულ სხდომაზე მისვლა, ხოლო წერილებზე პასუხების გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ვადების და რეგულაციების შესაბამისად. სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებზე განმარტა, რომ ამასთან დაკავშირებით გაკეთდა არაერთი განცხადება, რომ საკითხთან დაკავშირებული პირების მიმართ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები და ამ ეტაპზე საქმისწარმოება უკვე დასრულებულია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 10 პოზიცია, რომელთაგან „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუადიაშვილის ქუჩა N3-ში/ე.მანჯგალაძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით“ საკითხზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოთხოვნილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება იგეგმება ტერიტორიაზე, რაც იწვევს ფუნქციური ზონის ცვლილების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომაზე განხილული იქნას აღნიშნული პოზიციის გარეშე. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ., კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.19.39.002.091; N01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ვალდებულებით, რომ 6 თვის ვადაში მოაწყობს მუდმივმოქმედ ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანს, რომლითაც უსასყიდლოდ ისარგებლებენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლები, ჩატარდება რეგიონალური კლუბების თამაშები, ივარჯიშებენ და თამაშებს გამართავენ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება მისასალმებელია და საკითხს მხარს უჭერს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია პირობებში განისაზღვროს, რომ თუ ისე მოხდება, რომ მიწის ნაკვეთი აღარ იქნება ფედერაციის საკუთრებაში, ნაკისრი ვალდებულებები გადავიდეს მის შემდგომ მყიდველზეც.

თამარ მათიაშვილმა განმარტა, რომ მესამე პირზე, ნებისმიერი ფორმით, ქონების გადაცემის შემთხვევაში, ვალდებულება რჩება უცვლელი, რადგან ის ვრცელდება არა მიწის ნაკვეთის მიმღებ პირზე, არამედ საკადასტრო კოდზე.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ოპოზიცია მიესალმება და ყოველთვის მხარს დაუჭერს ნებისმიერი კარგი პროექტის განხორციელებას.

რევაზ სოხაძემ მადლობა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის, ფეხბურთის ფედერაციას და ქონების მართვის სააგენტოს საკითხის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტისთვის და აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ სტადიონით უსასყიდლოდ ისარგებლებს სამგორის რაიონში არსებული ყველა საბავშვო გუნდი. ამასთანავე, ტერიტორია იძლევა განვითარების საშუალებას და შესაძლებელია, სამომავლოდ, სერიოზული საფეხბურთო ცენტრის განვითარება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძე სატრანსპორტო საკითხთა კომისიიდან გადადის სარევიზიო კომისიაში, ნინო ლაცაბიძე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიიდან გადადის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, ჯაბა ჯიშკარიანი ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიიდან გადადის ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიაში და ვახტანგ შაქარიშვილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიიდან გადადის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 3 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი